აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
26 აგვისტო, 2021

დადგენილება №50(20/21)
აწსუ ფაკულტეტებზე კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით სახელმძღვანელო კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ

აწსუ ფაკულტეტებზე კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით სახელმძღვანელო კრიტერიუმებად განსაზღვრულ იქნას:

1. შესაბამისობა უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკას (კვლევით პრიორიტეტებთან) და ფაკულტეტის კვლევით პროფილთან;
2. მიმდინარე ან მომავალ სასწავლო წელს ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამა/ებზე აკრედიტაციის გავლის ვალდებულება;
3. აუცილებელი დასაბუთება კვლევითი პროექტის აქტუალობის შესახებ (საპროექტო წინადადება, ექსპერტთა რეკომენდაციები, კავშირი ბიზნესთან, კომერციალიზაცია);
4. ფაკულტეტზე (დეპარტამენტებს შორის) და/ან ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობა;
5. საერთაშორისო და/ან ადგილობრივ დონეზე პარტნიორების ჩართულობა;
6. პროექტის ხელმძღვანელი – აწსუ-სთან აფილირებული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, ჩართული მხარე - სტუდენტები (სამაგისტრო, სადოქტორო და ა.შ.);
7. პროექტი უნდა მოიცავდეს განხორციელების გეგმას, ბიუჯეტს, მონიტორინგის გეგმასა და მასში ჩართული პერსონალის რეზიუმეებს;
8. პროქტის დაფინანსების შემთხვევაში სტატიის გამოქვეყნების ვალდებულება შემდეგ ბაზებსა და ჟურნალში: Scopus, Web of Science, ERIH plus, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი